ჩემპიონატი

პანიუკოვის ორი ბურთი

ცხრა ნოემბერს თბილისში შემოდგომის თბილი, მზიანი დღე იდგა. გეგონებოდათ ბუნებამ საგანგებოდ შეარჩია ასეთი ამინდი მოსკოვის **ცდკა–სა და თბილისის "დინამოს"** გუნდების მატჩისათვის. ფეხბურთის გულშემატკივრებს, სპორტის ამ დარგით დაინტერესებულ მაყურებლებს, რომელთა რიცხვი 40.000–ს აღწევდა, ადრევე დაეკავებინათ თავიანთი ადგილები.

სრული სამი საათია. მოედანზე გამორბიან წითელხალათიანები. ესენი არიან ცდკა–ს ფეხბურთელები. ლიასკოვი (კაპიტანი), სტაცენკო (მეკარე), პინჩევი, ბოზოვოი, ვინოგრადოვი, კორიკოვი, კაპელკინი, შჩერბატენკო, ნიკოლაევი, კორიჩევსკი და კოროტკოვი. მათ უკან მოსდევენ თბილისის დინამოელები: პაიჭაძე (კაპიტანი), ტყებუჩავა (მეკარე), პეხლივანიდი, კიკნაძე, ბერძენიშვილი, ფროლოვი, ჯორბენაძე, ჯეჯელავა, ბერეჟნოი, ჯორჯიკია და პანიუკოვი. მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში დიდხანს არ ცხრება.

იწყება თამაში. ტაიმის პირველი წუთებიდანვე ცდკა–ს თავდამსხმელებმა თავბრუდამხვევი ტემპი აიღეს. ისინი ელვისებური სისწრაფით მიიჭრებიან წინ, თბილისელთა საჯარიმო მოედნისაკენ, მაგრამ მათს ზუსტსა და ძლიერ დარტყმებს სხარტი ნახტომით იგერიებს ტყებუჩავა. აი, კარის მოედნის ცენტრში გამართული ერთ–ერთი "საჰაერო დუელი" ფროლოვის ეფექტური გამარჯვებით დამთავრდა, ხოლო მუდამ საშიში კაპელკინის წინაშე კლდედ აღიმართა პეხლივანიდი.

ანგარიშის გახსნისათვის სტუმართა პირველი ცდა უნაყოფო გამოდგა.

საინტერესო, ტემპიანი თამაში არ ცხრება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ცდკა–ს ნახევარდამცველთა – ვინოგრადოვის, ლიასკოვსკისა და ტარასოვის ენერგიული, თავდადებული ბრძოლა ბურთისათვის.

ე.წ. ტერიტორიული უპირატესობა რამდენიმე წუთის შემდეგ დინამოელთა მხარეზე გადადის. დრიბლინგების ვირტუოზები – პაიჭაძე და ჯეჯელავა სრული დატვირთვით ჩაებნენ თამაშში. ცდკა–ს საჯარიმო მოედანზე კრიტიკული მომენტების სერიები იქმნება. შედეგი თუმცა არ ჩანს. ჯორჯიკიამ და ბერეჟნოიმ დროულად ვერ გამოიყენეს ანგარიშის გახსნის რამდენიმე შესაძლებლობა.

მე–20 წუთიდან თამაში კვლავ ცდკა–ს თავდამსხმელებს მიჰყავთ. კარგად თამაშობს მოსკოველთა შუამარბი ნიკოლაევი. მან შესანიშნავად შეასრულა ფედოტოვის მოვალეობა. ნიკოლაევის გადაცემები თავისი მოულოდნელობით ზუსტი და სახიფათო იყო. 25-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ბურთი მიიღო კაპელკინმა. იგი კარისაგან 2 მეტრით არის დაშორებული, თითქოს უდაო გოლია, მაგრამ… ბურთი მეკარე ტყებუჩავას ხელში აღმოჩნდა. მან მქუხარე აპლოდისმენტი დაიმსახურა.

წუთები გარბიან. ნუთუ პირველი ტაიმი უშედეგოდ უნდა დამთავრდეს, მაგრამ აი 33-ე წუთზე ჯორჯიკიასაგან ბურთი მიიღო პაიჭაძემ. იგი უკვე საჯარიმო მოედანზეა, ცდკა–ს დამცველთა ყურადღება მთლიანად გადავიდა "დინამოს" შუამარბისაკენ, ეს უკანასკნელი მოულოდნელად აწვდის ბურთს მარცხენა ფრთაზე, პანიუკოვი ელვისებური სისწრაფით გადის გარღვევაზე. ძლიერი შუტი. მეკარის ამაო ნახტომი. პირველი ბურთი ეხვევა სტუმართა ბადეში.

ტაიმის დამთავრებამდის მეკარე სტაცენკომ ორჯერ იხსნა თავისი გუნდი ორი ბურთისაგან. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა “დინამოს” სასარგებლოდ, ანგარიშით – 1:0.

მეორე ტაიმი, როგორც მოსალოდნელი იყო, თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. ცდკა–ს ფეხბურთელებს დაღლილობა დაეტყოთ. ტემპი შედარებით შესუსტდა. კაპელკინმა ვერაფერი გააწყო პეხლივანიდის წინააღმდეგ და იძულებული გახდა დაეტოვა მოედანი. სტუმრების თავდამსხმელები დაცვაზე გადავიდნენ. მე–10 წუთზე მატჩი თბილისელებს მიჰყავთ. პაიჭაძეს ხელით იჭერენ. მსაჯი ვონოგი აჯარიმებს მოსკოველებს. ურტყამს პაიჭაძე. ბურთი ხვდება ცდკა–ს დამცველებს. დამატებით ურტყამს პანიუკოვი და… ცდკა–ს ბადეში მეორე ბურთი გაეხვია.

ამის შემდეგ მდგომარეობა ანგარიშის მხრივ არ შეცვლილა. თუმცა თბილისელებს ჰქონდათ რამდენიმე შესაძლებლობა.

ამ მოგებით თბილისის დინამოელებმა სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში მტკიცედ დაიკავეს მეორე ადგილი.

ვ. გაბელია.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, 11 ნოემბერი, 1940 წ.